

თავისუფალი საქართველო

ერგვალ მადინს
საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

31 V 1991

№ 19 (24)



ეროვნული
ბიბლიოთეკა

„თავისუფალი საქართველო“ რედაქციას და გაბონ ზემად გამსახურდის

ჩვენ, ინგუში ხალხის წარმომადგენლები, ვასრულებთ რა კეთილშობილურ მისიას, რაც მიწისძვრით დაზარალებული მოძვე ქართველი ხალხის მიმართ ჰუმანიტარული დახმარების გაწევაში გამოიხატება, აღვნიშნავთ იმ სითბოსა და გულითადობას, ქალაქებში, სოფლებში, კოლექტივებში, კარვებში რომ დაგვხვდა. ეს იყო კავკასიელთა სტუმართმოყვარეობის ჰუმანიტარული გამოხატულება. დიდი სიამოვნებით აღვნიშნავთ ქართველი ხალხის ამაღლებულ სულს, პატრიოტიზმს, ერთობას, რწმენას მომავლის, რწმენას ქართველი ხალხის ღირსეული შვილის ზვიად გამსახურდიას მიმართ.

მადლიერების გრძობით ვტოვებთ საქართველოს, ვისურვებთ დიდ შემოქმედებით წარმატებებს თავისუფლებისთვის მებრძოლი საქართველოსა და მისი ხალხის, მთელი კავკასიელი ხალხების საკეთილდღეოდ.

27.05.1991

საქართველოს მოსახლეობამ პირველად პირიან თავისი პრეზიდენტი

ეს პატივი ერგო ადამიანს, რომელმაც მთელი ცხოვრება იმისთვის იღვაწა, რათა საქართველოს საკუთარი პრეზიდენტი არჩევის დღე დასდგომოდა. საქართველოს პრეზიდენტად ბატონი ზვიად გამსახურდიას არჩევით ხალხმა, ალბათ ზოგჯერ ქვეცნობიერადაც, ხმა მისცა კონკრეტულ მსოფლმხედველობრივ ორიენტაციას — ქართული სულიერი ფასეულობების, ქართული მართლმადიდებლობის, ქართული კულტურულ-ყოფითი ტრადიციების აღდგენა-აღორძინებას. ამის გარეშე კი შეუძლებელია ერმა საკუთარი თავი შეინარჩუნოს, თუნდაც ძალიან მომძლავრდეს კიდევ ეკონომიკურად. ერთი ყვავილის, მწერის გაქრობაც კი აღარბეჭდს და აფერმკრთალებს სამყაროს, არათუ მთელი ქვეყნის წაშლა ან, სხვებში გათქვეფა. ამიტომაც, მსოფლიოს მოქალაქეობა საკუთარი ქვეყნის მოვალეპატრონობით იწყება.

სხვაგვარი ორიენტაციის რომ ყოფილიყო ბატონი ზვიადი, მაინც აირჩევდა მას ლეწლისთვის საქართველო თავის პრეზიდენტად? — სხვაგვარი ორიენტაციის ადამიანი ვერ იღვაწებდა და ვერ იცხოვრებდა ისე, როგორც იღვაწა და იცხოვრა ზვიად გამსახურდიამ.

ამერიკელი სოციალური უსრიტ...



ცნობილი ამერიკელი სოციალური პარტიის წევრი, ბატონი რიჩარდ ფაიფი რამდენიმე დღე იმყოფებოდა თბილისში (სახელი შორის, ეს მისი მეორე ვიზიტი საქართველოში, პირველად იგი ტურისტად ჩამოსულა 1957 წელს).

27 მაისს მან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ლექცია წააკითხა, უკანასკნელი სტუდენტების შეკითხვებზე, 28 მაისს ბატონმა ფაიფმა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში მოხსენება გააკეთა.

ბატონი ფაიფის მოხსენება ძირითადად შეეხებოდა ამერიკის შეერთებული შტატების დამოკიდებულებას საბჭოთა კავშირში მიმდინარე პროცესებისადმი, მან აღნიშნა, რომ შეერთებული შტატების საზოგადოებრივი აზრი უსრიტობისადმი, დღემდე არა აქვს სწორი, მართებული წარმოდგენა საბჭოთა კავშირზე, იქ არსებულ სინამდვილეზე, ამერიკელთა ჯერ არ ესმით, რომ საბჭოთა იმპერიის დაშლა გარდუვალია და რომ ეს თვით შეერთებულ შტატებს ხელს აძლევს, თუმცა, ისიც აღნიშნა, რომ ამერიკელთა დაწესებულებები თანდათან იცვლება დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი რესპუბლიკების სასარგებლოდ. ერთი წლის წინ შეერთებულ შტატებში იმის გაგონება კი არ სურდათ, რომ

საბჭოთა კავშირი შეიძლება დაიშალოს, მაგრამ ბოლოდროინდელი მოვლენებმა გორბაჩოვის დაკავშირებული ილუზიები შეტყობინებულად გაფანტა, თუმცა, ამისა და მიუხედავად, შეერთებული შტატების მთავრობა და საზოგადოებრივი აზრი ჯერჯერობით მაინც ვერ შეიძლება მხარეზე. ბატონი ფაიფის სიტყვით, ამ მხარდაჭერას სამი ფაქტორი განაპირობებს. შეერთებული შტატების მთავრობას ურჩევნია საბჭოთა კავშირი დარჩეს ერთიანი სახელმწიფო, რადგან უფრო ადვილია მოლაპარაკება მოსკოვთან, ვიდრე ცალ-ცალკე 15 დამოუკიდებელ რესპუბლიკასთან, აგრეთვე, ამერიკელები შიშობენ, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად წარმოქმნილი სახელმწიფოები ეკონომიკურად თავს ვერ შეინახავენ და ამერიკა იმდენი უსრიტობა რესპუბლიკებს ძალზე სერიოზული და ძვირადღირებული დანახარება აღმოუჩინოს, და რაც მთავარია, შეერთებულ შტატებში აღელვებით იმ ბირთვული არსენალის ბედის, რომელიც საბჭოთა კავშირის განკარგულებაშია — ვის ჩაუვარდება ბირთვული იარაღი ხელში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ.

ბატონმა ფაიფმა განაცხადა, რომ მისი აზრით, ამერიკელებს საბჭოთა კავშირის მთლიანობის შენარჩუნებას უნდა ერჩივნოთ მისი დაშლა, რადგან თუ დღეს სახელმწიფო

საფრთხის თვალსაზრისით, 15 დამოუკიდებელი რესპუბლიკა ამერიკისთვის ნაკლებად საშიში იქნება, ვიდრე ერთიანი საბჭოთა კავშირი. სრულ მთლიანობის შენარჩუნება, ბატონი ფაიფის აზრით, შესაძლებელია მხოლოდ სამხედრო ლიტერატურის ძალით, ხოლო სამხედროების მოსვლა ხელისუფლების სათავეში გამოიწვევს „ცივი ომის“ განახლებას.

ბატონი ფაიფის იმდროინდელი, რომ შეერთებული შტატების პოლიტიკა საბჭოთა კავშირის მიმართ, მალე შევერთდეს შეიცვლება, ამ თვალსაზრისით, დიდი მნიშვნელობის მქონე რესპუბლიკებში პირდაპირი სამხედრო არჩევნები, განსაკუთრებით, რუსეთის პრეზიდენტის არჩევნები. დღემდე ამერიკელებს საბჭოთა კავშირი შეერთებული შტატების მსგავსი ფედერაცია ჰგონიათ, მაგრამ როდესაც დაინახავენ და გააცნობიერებენ, რომ თვით რუსეთი იმდენი დამოუკიდებლობისთვის, საზოგადოებრივი აზრი შეიცვლება, ეს კი გამოიწვევს მთავრობის ოფიციალური პოლიტიკის შეცვლასაც.

დღევანდელ ეტაპზე ბატონი ფაიფის აზრით, რესპუბლიკებმა შეერთებულ შტატებთან ფართო კულტურული, მეცნიერული და ეკონომიკური კონტაქტები უნდა დაამყარონ, მაგასად იმ კავშირებისა, რაც, მაგალითად, ტაივანს აქვს ამერიკასთან (დიპლომატიური ურთიერთობა მათ არ აქვთ).

შემდეგ ბატონმა ფაიფმა შეხვედრის მონაწილეთა შეკითხვებს უპასუხა. შეკითხვაზე, ხელმძღვანელობს თუ არა შეერთებული შტატების მთავრობა თავის რეალურ პოლიტიკაში მორალური პრინციპებითა და თუ ხელმძღვანელობს, რატომ დღემდე არ აღიარა ლიტვის დამოუკიდებლობა, ბატონმა ფაიფმა ბრძანა, რეალურ პოლიტიკაში შექანიკურად არ გადაიდგმება ის ნაბიჯი, რომელიც ზნეობრივი თვა-

ლსაზრისით აუცილებელი ჩანს, ჯერ ხდება პრიორიტეტების დადგენა, რა უფრო მნიშვნელოვანია, რა იქნება „ნაკლები ბოროტება“. თვით სახლში მიაჩნდათ, რომ გორბაჩოვის მოაქვს პროგრესი, მშვიდობა, განიარაღება, ერთი სიტყვით, ხდებოდა გორბაჩოვის გაიდგება, და ამასთან შედარებით ლიტვის საკითხი მეორეხარისხოვანი ჩანდა. თვითი სახლის უმოქმედობა ლიტვასთან დამოკიდებულებაში, ალბათ, დასაძრავია, მაგრამ, მეორეს მხრივ, თავად ბატონი ფაიფს კარგად ესმის, რა უდევს საფუძვლად ამ უმოქმედობას.

შეკითხვაზე, თუ რას მოიმოქმედებს შეერთებული შტატების მთავრობა, თუ მის ტერიტორიაზე კომპაქტურად მცხოვრები რომელიმე უმცირესი უმცირესობა მოსურველს დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას, ბატონმა ფაიფმა ბრძანა, რომ შეერთებული შტატების მთავრობა ამას არაფერია შემთხვევაში არ დაუშვებს, ეთნიკურ უმცირესობებში აქვთ კულტურული ავტონომიის და თვითმმართველობის უფლება.

შეკითხვაზე, თუ რითა გამოწვეულია, რომ მთავრობის ინტელიგენცია (მათ ენაზე — ინტელიქტუალები), როგორც წესი, ძალიან პრეზიდენტების წინააღმდეგ გამოდის (ასე იყო, მაგალითად, შეერთებული შტატებში, ინტელიგენცია პრეზიდენტ რეიგანს უპირისპირდებოდა), ბატონმა ფაიფმა ბრძანა, რომ ინტელიგენციას ყველგან და ყველთვის ჰგონია, რადგან მას განათლება აქვს მიღებული, ყველაზე უკეთ იცის, როგორ უნდა მართოს ქვეყანა, მაგრამ ინტელიგენცია ერთმანეთში ურევს ინტელექტუალურ ცოდნას და მართვის, ხელმძღვანელობის უნარს. პრეზიდენტი რეიგანის „გუნდში“ ერთადერთი ინტელექტუალი, უნივერსიტეტის პროფესორი იყო (თავად ბატონი ფაიფი).

შეკითხვაზე, რა შთაბეჭდილება

აქვს, როგორ ფიქრობს, გახდება თუ არა საქართველო ნამდვილი დემოკრატიული სახელმწიფო, ბატონმა ფაიფმა ბრძანა, რომ, მისი აზრით, ეს ასე იქნება. საქართველოში არ არის თვითმმართველობის ასეთი ტრადიცია, როგორც რუსეთში, ქართველი ხალხი თვისუფლებს მოყვარე, ინდივიდუალისტური ხალხია, ეს მან ჯერ კიდევ თბილისში პირველი სტუმრობის დროს იგონა.

ამასთან დაკავშირებით ითქვა, რომ საზღვარგარეთ ჩვენს შესახებ ვრცელდება დენიფორმაცია; თითქოს საქართველოში ლამისაა ფაშისტური რეჟიმი დამყარდა და ამ სიყვარულს, ჩვენდა სამწუხაროდ, ავტორიტეტს ის ქართველები, ვისაც პრეტენზია აქვთ, რომ თვისუფლებისთვის იბრძოდნენ. ასეთია მაგალითად, ბატონი ვალერი ჭალბიძე.

ბატონმა ფაიფმა განაცხადა, რომ იცნობს ბატონ ვალერი ჭალბიძეს, მაგრამ ის არ არის ქართველი, ის რუსია. ჭალბიძეს, რბილად რომ ვთქვათ, ფრთხილ უცნობი აზრები აქვს და ეს გამოწვეულია ერთი რამით, მას არ სურს საბჭოთა კავშირის დაშლა, მას უნდა, რომ საბჭოთა კავშირი ევოლუციის გზით გახდეს შედარებით დემოკრატიული სახელმწიფო. ბატონმა ფაიფის თქმით, საბჭოთა იმპერიის დაშლას ეწინააღმდეგებან არა თუ მხოლოდ რუსები, არამედ, როდენ პარტიულად, არ უნდა იყოს, ზოგიერთი ამერიკელი სოციალური მოღვაწე, მაგალითად, ბატონი სტივენ კოენი.

შეკითხვაზე, თუ რა პოლიტიკის გატარებას უხსლოეს მთავარად ამერიკა საბჭოთა კავშირისა და რესპუბლიკების მიმართ, ბატონმა ფაიფმა ბრძანა, რომ შეერთებული შტატები, ალბათ, დაეხმარება ერთდროულად ცენტრებსა და რესპუბლიკებსაც, მაგრამ ეს ცენტრს არ უშველის, საბჭოთა იმპერიის დაშლა გარდუვალია.

საპუტარი კორ.

ომიტ დანყაბული და განმოსიდიო დაემოპრეპული ტერორი

(რუსეთის რევოლუცია 1899-1919) რიჩარდ ფაიფი

1917 წ. დეკემბერში მოსკოვში საცარტო წარმოდგენაზე დასწრება საქმოდ საზიფათო გახლდათ. როდესაც პოპულარული კამბაზი ბიმ-ბომი თავის გამოხატვაში მასხარა იკვლავდა ბოლშევიკებს, იქ დასწრე ჰქვას წარმოდგენილები, რომელთა ორგანიზაცია იმხანად შეიქმნა და წარმოადგენდა განსაკუთრებულ კომისიას, მოწოდებულს კონტროლზედ საბრძოლველად, სროლას უტყუბნენ არა მარტო მხიარულ ბიმ-ბომს, არამედ იმ წინააღმდეგ საბრძოლველად, რომელსაც მაყურებელსაც, რომელსაც არიობდა და აცინებდა კამბაზის ოხუნჯობანი. რევოლუციის გზა მძიმეა. რიჩარდ ფაიფი არ გვიამბობს იმ ისტორიის შესახებ, თუმცა მისი საქმოდ დიდებანი იწინასწარ მთავარ სათქმელს სწორედ ეს წარმოადგენს, კერძოდ: ბოლშევიკებმა ხელთ იკვლეს ძალაუფლება და შეძლეს მისი შენარჩუნება მხოლოდ იმიტომ, რომ სისასტიკეთა და სიმხეციით ისინი ბევრად აღემატებოდნენ თავიანთ მეტრეებს.

1917 წ. ოქტომბერში ბოლშევიკებს მიზნის მისაღწევად ძალის გამოყენება, ფაქტობრივად, არც დაჭირებიათ, რაც იმით იყო გამოწვეული, რომ დროებითი მთავრობა, რომელიც იმავე წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ შეიქმნა, ფრიალდ სუსტი და უუნარო აღმოჩნდა და ამდენად, ბოლშევიკების მხრივ ძალაუფლების ხელში ჩაგდება დიდ ძალისხმევას არ მოითხოვდა. ფაიფის ღრმა რწმენით, ნამდვილი რევოლუცია რუსეთში სწორედ თებერვალში მოხდა, ხოლო რაც შეეხება შემდგომის მოვლენებს, იგი თვლის, რომ ეს იყო შეთქმული მცირე ჯგუფის მიერ მინიმალური დანახარებით კარგად გათამაშებული ფარსი. რაც შეეხება ზამთრის სასახლის შტურმი ადების ეიზენშტეინისეულ გაზრებას — სრული ფიქციაა, უბრალოდ ბოლშევიკებს სჭირდებოდათ ბასტილიის ადების მათეული რუს-

ულ-საბჭოთაო ვარიანტი. ეს იყო და ეს.

სულ რამდენიმე ხანში, როდესაც რუსეთის ახალმა ხელისუფლებამ საკუთარი მმართველობის ცნობებში გატარება განიზრახა, იმათვე შეიქმნა ძალადობის გამოყენების საკითხი, ვინაიდან მათი საყრდენი მეტად ზერეულ და არამდგრადი გამოდგა მხარდაჭერა სიმცირის გამო, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ბოლშევიკები უკიდურეს მემარცხენე პოზიციას იკავებდნენ, ისინი უმცირესობას წარმოადგენდნენ და სიტუაცია არც ოქტომბრის რევოლუციის შემდგომ შეცვლილა. ნოემბერში გამართულ დამფუძნებელი კრების არჩევნებში ბოლშევიკებმა 725 ადგილიდან მხოლოდ 175 მანდტი მიიღეს, რის გამოც სიძულვილით აღივსნენ, კრება „საპარლამენტო კრებისადა“ მონათლეს და ყოველგვარი სინისის ქენჭის გარეშე, უხეში ძალის გამოყენებით ჩაშალეს მისი შედეგად. სულ რამდენიმე ხანში კი, პოლიტიკური პლურალიზმის ნებისმიერი გამოხატულება სასტიკად იღვენიებოდა.

ბატონ ფაიფის აზრით, ბოლშევიკების მიერ გლეხობას მიმეღობრება შეექმნა, ხოლო ის რასაც ახალი ხელისუფლება უმზადებდა ხალხს, ოღონდაც არ შეესაბამებოდა მათ მოთხოვნებს, პირიქით, ბოლშევიკებმა ერთხელ კიდევ გამოიყენებინათ ცინადკვესი, რომ მარწუხისებური პოლიტიკის ერთგულნი არიან. თავდაპირველად მათ მისცეს უფლება გლეხობას წაერთმიათ უფლები მიწის შესაკუთრებების, რაც მმართველთა მარცხად იწოდებოდა, შემდეგ განადგურეს რა თავიანთი პოლიტიკური ოპონენტები ცენტრში, უკონელი გლეხობა წააქეზეს შედარებით შეძლებულ გლეხთა წინააღმდეგ, ერთად „სოციალური გენერალი განახორციელეს“, ამას რუსეთის ისტორიაში გლეხთა უდიდესი მღელვარება მოჰყვა და გამოიწვია „უკონური სასაზარაო კეთა“, რაც იმით იყო განპირობე-

ბული, რომ ბოლშევიკური სახელმწიფო ომს საკუთარი ხალხის წინააღმდეგ აწარმოებდა.

წითელი ტერორის დროს მოსახლეობის მასობრივი განადგურება რევოლუციის კულმინაციის პერიოდში კი არ ხდებოდა, როგორც ამას ადგილი ჰქონდა საფრანგეთში 1793-94 წ.წ., არამედ არანაირი კატეგორია დასაბამს რევოლუციის პირობები დიდდნ იღებდა. უფრო მეტიც, როგორც ფაიფი ხაზგასმით აღნიშნავს, ტერორი ქვეყნის მართვის საშუალებას წარმოადგენდა, ის არ იყო თავდაცვითი ხასიათის და ამდენად მას არავითარი გამართლება არ შეიძლება მოეძებნოს. ქვეყანაში ირდევოდა ყოველგვარი ადრე არსებული ნორმები, ის ნორმები, რომლებიც თვით იმპერიული რუსეთშიც კი მოქმედებდა, რადგან იყო სწრაფი, მიზანდასახული და უკომპრომიზო, ყოველგვარი ძალაუფლების შენარჩუნებას ემსახურებოდა. ფაიფის სიტყვებით რომ ვთქვათ, კაცობრიობის ისტორიაში რუსეთი პირველი ქვეყანაა, რომელმაც კანონი კანონგარეშე გამოაცხადა.

რუსეთში მიმდინარე მოვლენების წარმართული იყო ლენინი. ფაიფის მოსაზრება ასეთია: რეჟიმი, რომელიც ლენინმა ჩამოაყალიბა 1917 წლის შემდეგ „მისი პიროვნების როლის წარმოჩენასა და განმტკიცებას ემსახურებოდა“. აგრეთვე, ბოლშევიკური იდეოლოგიის ანალიზს დიდ ყურადღებას აქვთ მისცეს, სამაგიეროდ მრავალმხრივ აშუქებს თავად ლენინის პიროვნებას, რასაც წინააღმდეგარე ნაშრომში საკმაოდ სოლიდური ადგილი ეთმობა.

ზოგადად, რუსი ხალხის თვისებებით უკმაყოფილო ლენინის განსაკუთრებულ აღფრთობებას თავისუფლებასავე ღრთავს ნებისმიერი გამოხატულება იწვევდა. მისი აზრით, რუსები არ იყვნენ მისი ღირსნი, მათთვის დამახასიათებელი სიზარმაცის, უხერხემლობისა და გონებაზღუნობის გამო. „ინტელ-

იგენტი რუსი“ — ეუბნებოდა იგი მაქსიმ გორკის — „თითქმის ყოველთვის ებრაელია“. პროლეტარიატი, მისთვის დამახასიათებელი ახლომხედველობის გამო, მუდმივი გენის მიცემას საკითხებს ინტელიგენციის მხრიდან. მიუხედავად ამგვარი მენტორული ტონისა, თავად ლენინი, ნაკლებ განათლებული პიროვნება ვახლდათ — აღნიშნავს ფაიფი, — „მისი განათლებისა და აზროვნების ქობრივად იმდენად ვიწროა, რომ იგი ხშირ შემთხვევაში უძლურია მიიღოს რაიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება. განსაკუთრებით უმწეო აღმოჩნდა ლენინი ეკონომიკის სფეროში, რომლის ბუნებრივი შედეგაც „კომუნის“ მისთვის ბრძოლის პერიოდში“ რუსეთის ეკონომიკის სრული გაპარტახება გახლდათ, ფაიფის აზრით, ლენინის პიროვნებაში მეტად ნიშნდებოდა არადადამიანური სისასტიკე, რომლის ანალოგია იგი პანორხ პომპერის პიროვნებაში პოულობს. მათთვის 10 000, 50 000, 100 000 ადამიანის მოსპობა და განადგურება არაფერია, ადამიანთა ტანჯვის მიმართ გულგრილობა სრულიად ნორმალური მოვლენაა. „ხუთე შენ ფიქრობ, რომ ჩვენ გამოიყვანეთ რევოლუციური ტერორის გარეშე?“ — დაუყვარა ლენინმა ისავე შეინებრეს — „შინაგან საქმეთა კომისარს“. სწორედ ლენინი გახლდათ, ვინც ვასცა ბრძანება რუსეთის მეფის ნიკოლოზ II, დედოფლის, მათი ვაჟიშვილისა და ოთხი ქალიშვილის დახერხების თობაზე. ლენინი იყო ტერორის მომხრე და გამტარებელი, ლენინმა გაუკაფა და დაულოცა გზა სტალინი.

ბოლშევიკურმა რეჟიმმა, მიუხედავად მთელი თავისი სისასტიკისა, მანაც საკმაოდ ხანს გასტანა, რა იყო ამის მიზეზი? ამ კითხვაზე პასუხს ფაიფის უფრო ადრინდელ ნაშრომში ვიპოვებთ, კერძოდ, „რუსეთი ძველი რეჟიმის დროს“ (1974), სადაც იგი აღნიშნავს, რომ რუსეთის საბედნიეროდ, მას თავისი გეოგრაფიული და ისტორიული განვითარების გზაზე, არ ჰქონია კერძო საკუთრებისა და აქედან გამომდინარე ყველა შედეგის გამოცილება. ძველ რუსეთში კერძო საკუთრება გაიგვივებული იყო სამეფო საკუთრებასთან, ხოლო ადამიანები თავიანთ ფუნქციის მხოლოდ მეფის სასახურში ხედავდნენ. ამდენად, რუსეთის მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის უცნობა ისეთი მცენებები,

როგორცია, კანონიერება, საკუთრება, მოქალაქეობა, პატრიოტიზმი. ავტორიტატი მიიღებოდა უსიტყვოდ, შთამომავლობით მტკიცდებოდა ადამიანთა ცნობიერებაში თავისთავადი ავტორიტეტი მმართველი პოლიტიკის უპირატესობა, ყოველივე ამას ბოლშევიკები მემკვიდრეობით ლეგუმზებდნენ და თავიანთ სასარგებლოდ იყენებდნენ. მას რისთვის მოხდა რევოლუცია რუსეთში? წინამდებარე ნაშრომში მოცემულია ამ საკითხის ღრმა და ყოველმხრივი ანალიზი, თვითონ ლენინი კი ამ კითხვაზე ფრად მაართივად და მოკლედ პასუხობს, კერძოდ — „ჩვენი რევოლუცია ომის შედეგად დაიბადა“. მართალია, თამადელი რუსეთის იმპერიას ჰქონდა მთელი ორჯი პრობლემები, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ 1914 წ. იგი სოციალურ სიმშვიდესა და ეკონომიკურ აღმავლობას განიცდიდა, თუმცა კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე მძიმე გრეველმა ომმა ხელი შეუშალა ქვეყნის წინსვლას. ალბათ, ფაიფის ნაშრომის უმნიშვნელოვანესი თვალსაზრისის განაჩენი მდგომარეობა, კერძოდ, იგი რუსეთის რევოლუციას „უპირველესად. გლენ ჯარისკაცთა ამბოხს“ უწოდებს.

ფაიფის წიგნი, რა თქმა უნდა, აზრთა სხვადასხვაობას გამოიწვევს, ერთის მხრივ, მისი უკომპრომიზო დამოკიდებულება, ერთიანაა უარყოფითი განწყობა ზოგადად სოციალიზმთან მიმართებაში, რაც არა მხოლოდ სოციალიზმის ლენინისტურ გამოხატულებას გულსხმობს, ხოლო მეორეს მხრივ, მისი აზრით, სიმათიები მეფესა და მის ოჯახთან დამოკიდებულებაში („სრულიად უდანაშაულო, მხოლოდ ერთი სურვილი ჰქონდა — ეცხოვრა მშვიდად“) ფაიფის დუფარება სიძულვილი ლენინს. ბოლშევიკების და ყოველივე ამის მიმართ, რასაც ისინი ემსახურებოდნენ, ალბათ, გარკვეულია: შეუარსებოდა, მაგრამ მათ, ვინც თვლის, რომ რუსული რევოლუცია იყო გამართლი ბრძოლა მიმართული დესპოტიზმის წინააღმდეგ, და მათ, ვინც შედარებით თავდაუხებულ პოზიციას უჭერს მხარს, შეუძლებელია სათანადოდ არ შეაფასონ ფაიფის ფართო ერედოცია, მისი მსჯელობისა და ანალიზური აზროვნების სიღრმე და თხრობის სისხარტე.

თიხ ზღანდისი
„ინდეფენდენტი“, 25. II. 1991.

გაუგებებელი ღაემოკრატია



ლა და თავისთვის საჭირო ცნობების მისაღებად, ან კონტაქტების დასამყარებლად. ვერაფერს ვიცი იმის შესახებ, თუ როგორ განვითარდა ქალბატონი ირინეს პირველი ვიზიტი საქართველოში. რადგან დიდხანს აღარ დავრჩენილვარ იქ, მე წაპოვედი იქედან, ისე კი არა მგონია, ბევრი მსურველი გამოჩენილიყო პოლიტიკოს ქალბატონთან დამის პაემანზე შესახებ რაღაც.

ქურნალისტი, რომელმაც ეს ოდიოზური კითხვა დასვა, ხელი უკანაღებდა. ეტყობა ქალბატონმა ირინემ გააფრთხილა, შესაძლოა დამიგვიჩინა ან მოგვლან თუ მით ფაქსიფიკაციას ამხელდა. ქურნალისტიმაც „გადადო თავი“ სამართლიანობისთვის და დასვა „სახედათო“ კითხვა. მეტად შთაბეჭდილი სანახავი იყო ქურნალისტი გაკვირებული და თანაც უდავოდ გაბრაზებული სახე, რომ არავინ ეტყვა, არ გადაუღობია ხელში, არ ესროლა ტყვიან... ამის სანაცვლოდ ბატონმა კომისიის თავმჯდომარემ გულდასმით, ციფრებისა და ოქმების მონაცემებით ვერცოლო, ძალიან სერიოზული პასუხი წამოიწყო. ქურნალისტი ჩემს უკან იდგა და სრული პასუხისმგებლობით ვამბობ, მას პასუხი არ მოუსმენია, იმდენად გაოგებული იყო იმით, რომ უხედათოდ გამოძვრა ამ მეტად „მომიმე“ განსაცდელიდან.

პირადად მე ზედმეტად სერიოზული მეჩვენა ბატონი არჩილის რეაქცია ამ „უსუსურ“ გამოხადობაზე. არსებობს კითხვები, რომელიც სერიოზულ პასუხს არ საჭიროებს. წესიერ დემოკრატიულ ქვეყნებში ასეც იქცევიან. დარწმუნებული ვარ, რომ არავინ გამეცნა პასუხს ამ ტიპის კითხვა-განცხადებაზე თუნდაც ამერიკაში, სათანადო მამოლიბელო დოკუმენტის გარეშე ამგვარ განცხადებას პროვოკაციის კვალიფიკაცია ეძლევა და სერიოზულად არ აღიქმება. მაგრამ ქალბატონ ირინეს და მის თანამოაზრეებს იმდენად იოლად გაუვიდათ კონგრესის არჩევნების ფალსიფიკაცია, იმდენჯერ წაუყრეს დოკუმენტაციის გამოქვეყნებას, რომ, ალბათ, ჰგონიათ ყველა არჩევნები სათანადო გაფორმებისა და წესის დაცვის გარეშე ტარდება და ამიტომ ეს ცილისწამებაც გაიყვარება. საზოგადოებამ, რომელიც, როგორც უკვე ვთქვით, საქმიანად ირჩებოდა და საზეიმოდ იყო განწყობილი, უმფოთველად მიიღო ეს ინციდენტი. უმრავლესობას მხოლოდ გაეღიმა ქურნალისტის მღელვარე განცხადებაზე, მაგრამ საქართველოში სიუჟეტის გაგრძელება იმდენად იოლად ალტურვილმა პირმა, რომელმაც დემოკრატიულ, ფარულ კენჭისყრაში ხმათა 0,3 პროცენტს მიიღო, დარბაზში სიცილი ატყდა. როგორც ჩანს, ქართველი საზოგადოება მინც ვერ აღმოჩნდა ისე მომზადებული, რომ ბოლომდე შეენარჩუნებინა „მეტეხის“ სტილისტიკისთვის შესაფერისი თავდაუკვეთლობა.

სასველესიკენ გაემართა, ქართველ საზოგადოებას მეორედ უმტყუნა თავშეკავებამ და ტაში დაუკრა ბატონი გურამის გმირულ თავგანწირვას. აპოლოდისმენტები ოვაციაში არ გადარბილა, რამაც დააზუსტა აუდიტორიის აშკარად ირონიული დამოკიდებულება ორატორის მიმართ.

ბატონი არჩილ ჭირაქაძის პასუხმა აბსოლუტურად დამაჯერებლად და ბატონი გურამისა და ქალბატონი რუსუდანიისთვის, სამწუხაროდ, მეტად მოგებიანად გაიყვრა: სამწუხაროა, რომ ბატონ გურამს ამდენი უსიამოვნება გადახდა აქ შემოსასველად, მაშინ როცა არსებობდა სრულიად უხედავო გზა, აკრედიტაციის მოთხოვნა და საშვის მიღება პრესკონფერენციაზე დასაწყობად. ამისათვის საჭირო იყო მხოლოდ განაცხადის გაკეთება და ბატონი გურამი შეუფერხებლად დაეწვრებოდა პრესკონფერენციას. არც ბატონ გურამს, არც რომელიმე მის მიანლოვებულ პირს ცენტრალური საარჩევნო კომისიისათვის აკრედიტაციის მოთხოვნით არ მიუშინათავს, ამიტომ მას არ ჰქონდა საშვი, ურო-მლისოდაც პრესკონფერენციაზე ადვილად უშვებენ. არც ერთი დიონტიურებული პირისთვის ცენტრალურ საარჩევნო კომისიის აკრედიტაციის უფარი არ უთქვამს, ამას დადასტურებენ თუნდაც სხვა კანდიდატის ნდობით ალტურვილი პირები, ხოლო რაც შეეხება განცხადებას, რომ არჩევნები ფალსიფიცირებულია, სათანადო დოკუმენტების გარეშე ამ მტკიცებას იურიდიული ძალა არ გააჩნია და ცილისწამებად ითვლება. ყველა უბანში იყვნენ დამკვირვებლები, როგორც სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლები, ასევე უცხოელები და არც ერთ ოქმში რაიმე მნიშვნელოვანი დარღვევა „სამწუხაროდ“ არ არის აღნიშნული. ყველა ოქმს კომისიის წევრები და დამკვირვებლები აწერენ ხელს, ამიტომ ბატონი გურამის განცხადებისაგან განსხვავებით ამ ოქმებს აქვთ იურიდიული ძალა.

მეტი ინციდენტი პრესკონფერენციაზე არ მომხდარა, წარუმატებელი საჯარო გამოსვლის შემდეგ ბატონი გურამი უცხოელებთან ინდივიდუალურ მუშაობაზე გადავიდა. პოლში გამოსულ ქურნალისტებს „ანათლებლა“, — ხომ უნდა იცოდეს მსოფლიომ რა საშრობობა მოელოდა ფალსიფიკაციის შემთხვევაში საქართველოდან და გაფრთხილდეს, მცირე თადარიგი მიაც დაიჭიროს, რომ პოლიტიკური ვითარების გართულების შემთხვევაში მოახერხოს თავდაცვა გამძვინვარებული 5-მილიონიანი საქართველოს მოსახლეობისგან.

რაც შეეხება ცენტრალურ საარჩევნო კომისიის წევრებს, ისინი მცირე უსიამოვნებას მიატოვეს ასევე. მრავალი მაგიდის წარმომადგენელი ქალბატონი ბრაზობდა, ხომ იცოდით ამათი ამბავი, რატომ თქვენ თვითონვე, მოთხოვნის გარეშე არ გაუგზავნეთ მოწვევა პრესკონფერენციაზე.

„მე ვახლავართ ერთ-ერთი კანდიდატის, თამაზ კვაჭანტირაძის ნდობით ალტურვილი პირი“; „ხალხო, ხირცხვილია, როგორ იქცევი. რა ხახაცილო არის. აღამიანი არის აღელვებული“.

„ხახტურის წინ იყო კორდონი, რომელმაც მე არ შემიშვია“; „მილიციამ წამაქცია, შატრია, ხელები გადამიჭრა“; „როგორც ეტყობა, მე სხეთი ხაშიში პარტენება ვარ...“



ჩანს, ბატონ გურამს, როგორც შორსმჭვრეტელ პოლიტიკოსს, თან ჰქონდა არა მარტო სათანადო სთვალე, არამედ გარდერობის სხვადასხვა აქსესუარებიც.



განერიღოთ სრუ გვალაგებულთა

ბასუხი ღია წერილზე ზ. ასკანელს, ა. ხალიძას და „თავისუფალი საქართველოს“ მისმეორს

ოდ 12,5 პროცენტით საქართველოში. ბატონო! მონარქიზმი სახელმწიფოს მართვის პოლიტიკური ფორმაა. ჩვენი სახელმწიფო მხოლოდ ნებაყოფლობით და საქველმოქმედო ორგანიზაციისა და არა პოლიტიკური პარტიის, კარგად წიკითხეთ ჩვენი წესდების მე-3 მუხლი (თავი 1).

ზ. ასკანელი და ა. ხალიძა წერილში აცხადებენ, რომ მონარქისტული ახალი წესდები ვიყავითო. არ ვიცი, რა მიზეზით მიატოვეს ეს პარტია, მაგრამ ჩვენი საქართველოსა და მონარქისტული პარტიის ფუნქციები და იდეები რომ ერთმანეთში არევიან, ეს აშკარაა.

შემდეგ ახალ ბრალდებას გვიყენებენ: „სოციალური პრივილეგიების უფლებების ნიშნად ვარა იგი (საქართველო. ნ. ა.) თავის საქმიანობაში ეროვნული პოლიტიკით იყენებს ექვს: მანია, როდესაც საქართველო საბჭოური ორბიტაზე მოქცევას ცდილობს, საქართველოს შეხვედრებზე საპირისპირო სურათს: კიბნობენ მიმართებდა და მისი მხარეზე რუსეთის მიაღწევად ორგანიზაციების წარმომადგენლებსაც, ხოლო საკრებულოს ცალკეულ წევრებს აქტიურ მონაწილეობას იღებენ იმპერიის ანალოგიური ხასიათის საკრებულოთა თავიანთი ბეჭედი“. მეუკვეთა, ამ სიტყვების დამწერს საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოში ჩაუხედლოს. მოგესხებებით, თუ რა მრავალრიცხოვანი ქართული კოლონიები იყო მოსკოვსა და პეტერბურგში. საქართველოს სამეფო კარი და მრავალი დიდგვაროვანი ჩვენი სამშობლოს ტრაგიკული ისტორიის მიერ განწირული; სამუდამოდ დასახლდნენ რუსეთში. შემდგომში ხშირად იყო შერეული ქორწინებანი ქართულ და რუსულ დიდგვაროვანთა ოჯახებში. სწორედ მათ შორის მამულეობით ვიცოდებთ უზრუნველად კავშირებს დამყარებას, რადგან მათთან ინახებოდა მრავალი ისტორიული დოკუმენტი თუ რელიკვია, რომელთაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ ჩვენი ერის ისტორიისათვის და მათი დამარცხებისათვის ვიბრძვი. ეს არის, ბატონო, საეჭვო ეროვნული საქმიანობა? ზ. ასკანელსა და ა. ხალიძას ვუარჩევთ, წიკითხონ შემდეგი წიგნები: „გარუზინი ვ. მოსკოვ“ და მ. გორგისის „გარუზინი ვ. პეტერბურგ“.

შემდეგ დიდებული ლოზუნგი აქვთ წამოყენებული წერილის ავტორებს: „ყოველგვარი ურთიერთობა ქართველთაგან დღეს უნდა წარმართოს არა საკაცეშირთ, არამედ საერთაშორისო ორიენტზე“. მაშ რა უყუთ იმ ე. წ. საბჭოთა რესპუბლიკებს, რომლებმაც იურიდიულად გამოაცხადეს თავიანთი დამოუკიდებლობა, მაგრამ ფაქტურად ისევ იმპერიის შემადგენელი ნაწილები არიან. გადავშალთ რუკაზე ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, მოლდოვა, სომხეთი? უარი ვიქვით ჩვენს უშუალო მეზობელ რუსეთზე, სადაც ხალხი ასათისაან საპროტესტო მიტინგებს აწყობენ საპროტესტო მიტინგებს აწყობენ კრემლის კედელთან? სადაც, სამწუხაროდ, მრავალი სისხლი ქართველი და ენის არმცოდნე შვილი პყავს საქართველოს? რა ვქნათ? დავკარგოთ ისინი თუ მათ გენეზში ქართული ფესვები გავაცოცხოთ და ჩვენს ლეგენდარულ ვაჟებში ვაქციოთ რუს ხალხში? (რაც შეეხება საერთაშორისო ურთიერთობას, წიკითხეთ წესდების VI მუხლი).

შემდეგ ზ. ასკანელი და ა. ხალიძა ახალ სიტყვას გვთავაზობენ საქართველოს ისტორიაში: „და თუ ამ სიტყვების დასაწყისში ჩვენმა წარმომავლებმა თავდაპირველად დათმოთ თავისი წოდებები და პრივილეგიები მატერიალურ ფასეულობებთან ერთად ერის საკეთილდღეოდ...“ (საინტერესოა, როდის მონდა ასეთი დიდებული ამოჩენა ან იქნებ წყარო მოკეთითონ?). დღეს მათ შინამთავლებს რალა დაეხარებოდნენ, რომ თავისი გენეალოგური აღმავლობის ქინით შეპყრობილი (ამას, ბატონო, სამედიცინო ტერმინოლოგიით „მანია გრანდოზა“ ანუ მეგალიმანია ჰქვია). აფერეთ თქვენს მონარქისტულ ბრალდებას! მთელი საქართველოს ისტორიულ სავარეულოთა წარმომადგენლებს სამედიცინო შემოწმება იგი ჩაიკარებიათ, რომ „თქვენს პაციენტებს“ ამხე წარმოდგენაც კი არა აქვთ. ასეთ რამით ჯუნა დავიანდებოდა, კი ვერ დაიკვირებს.

შემდეგ ვაგრძელებთ ტექსტს: „... (ქინით შეპყრობილი)... სადაც არ უნდა, შკო იქ მოუსურვებიათ და თავმოყრუნედ მისხლდნენ მრავალი მაგიდის გაწყობილ სუფრას“.

სადაც არ უნდა... ნუთუ ზ. ასკანელსა და ა. ხალიძას გონიათ, რომ ერთგულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა მხოლოდ 1989 წელს დაიწყო მათი წინამძღოლობით? ჩვენი დღევანდელი წარმოგვიდგინეს ამ გაუბატონებმა!

თუ თქვენზე ხერხით ვისარგებლებით, მაშინ თქვენ სადა ბრძანდებოდით, როდესაც 1832 წლის თავდაპირველი შეთქმულება მოეწყო და მთელი რუსეთის ტერიტორიაზე გადასახლეს მისი მონაწილეები? 40-იანი წლების რეპრესიებამდე?

სად იყავით 1956 წლის 9 მარტს, როდესაც ქართველი სტუდენტები, პრივილეგიატები იმპერიის ისტორიაში, გამოვიდნენ მთავრობის წინააღმდეგ (თუმცა მიზეზი, ზედაპირულად თუ მიუღწევად, სტალინის ვაკრიტიკა იყო, მაგრამ ამ გამოსვლების საფუძველი ქართველი ერის უსამართლო ჩაგვრა და ლანდინა იყო კრემლის მაშინდელი მმართველია შირიდან). ანდა რა ისეთი გაწყობილი სუფრა დაგვასვენებდა ზ. ასკანელისა და ა. ხალიძის მართვათა, რომ მხოლოდ ისლა დაგვარჩენია, ფეხი ფეხზე შემივიდით და პრივილეგიებზე ტკბობო ოცნებებში ჩავიხრეთ?

საქართველო ეს-ეს არის ჩამოვლილზე. მიმდინარეობს ორგანიზაციული პერიოდი. არა გვაქვს ბინა, სახლიანი. მიმდინარეობს ძირითადად გაწვევანიება, სამუშაო გეგმების შედგენა და დახვეწა, კომისიების ჩამოყალიბება; ზ. ასკანელსა და ა. ხალიძას კი ჰგონიათ, რომ საქართველოში ყველა და ყველა-ნაირი სამუშაოები დასრულდა ყველაფერი და სუფრასთან მისხლდნენ ეამი დაღვა. სცდებით ბატონო! გაზეთის იმავე ნომერში დაბეჭდილი ი. ლომოურის წერილიდან მოვიყვან ერთ ნაწყვეტს: „ჩვენდა

თველი და ენის არმცოდნე შვილი პყავს საქართველოს? რა ვქნათ? დავკარგოთ ისინი თუ მათ გენეზში ქართული ფესვები გავაცოცხოთ და ჩვენს ლეგენდარულ ვაჟებში ვაქციოთ რუს ხალხში? (რაც შეეხება საერთაშორისო ურთიერთობას, წიკითხეთ წესდების VI მუხლი).

წერილის ავტორები აღნიშნავენ, რომ 1989 წლის დამდგენად, „როცა აღდგა დიდი ხანა მონარქისტული მოძრაობა“, სხვადასხვა (მომარქისტული) ლენინიზმები, არც მიტინგებში და მანიფესტაციებში, და არც შიმშილობებში საქართველოს რომელიმე წევრი არ გვინახავს.

ჯერ ერთი ზ. ასკანელსა და ა. ხალიძას პრეტენზია აქვთ, რომ საქართველოს ყველა წევრს სახით იცნობენ, და რაც მთავარია, საქართველო შეიქმნა 1991 წლის თებერვალში. გეიკითხებით, როგორ მიიღებდნენ მონაწილეობას 91 წელს შექმნილი ორგანიზაციის წევრები 89 წლის ლენინიზმებში?

ნუთუ ზ. ასკანელსა და ა. ხალიძეს ჰგონიათ, რომ მიტინგებზე მხოლოდ მონარქისტები იყვნენ ან სუყველად უნდა გვეშინოდა? თითოეულმა ქართველმა თავისი წილი გაიღო შემოღებისდაგვარად.

9 აპრილის დღესაც იქ ვიდგეთ, ჩვენს საქართველოს რიგითი მოქალაქეები. არჩევნებშიც ხმის უმეტესობა იმითმ მიიღო მრავალმა მაგიდამ, რომ ჩვენს რიგითმა მოქალაქეებმა, წარმომავლობის მიუხედავად, დაუპირეთ მხარი მათ თუ ასკანელსა და ხალიძას. როგორ იმეორებდა და ხალიძას ჰგონიათ, რომ მხოლოდ ასკანელმა და ხალიძამ დაუპირეს მხარი?

შემდეგ წერილის ავტორები განაგრძობენ: „თუ საქართველოს დამარცხებულს, ქალბატონ ია მუხრანელს დაუპირებდა („სავაზონისა გარუზია“ 20.IV.91) მის სამწყვსოში არიან რეპრესირებული, გადასახლებულნი ნაწყვეტები და ა. ხალიძის მანერა, რომლებიც ხშირად იძულებულნი გამხდარან ვაკრიტიკის და მკვლელობის“.

თუ ზ. ასკანელსა და ა. ხალიძის რამე საბუთი აქვთ, რომ ქალბატონ ია მუხრანელს არ უნდა დაუპირებოთ, ვინაობა გამოაჩვენონ, ხოლო თუ არა აქვთ, მაშინ ეს პიროვნების შეურაცხველია და მათი ასაკის ხალხს კარგად უნდა ესმოდეთ უსაფუძველო ბრალდებას, როგორც ეს დასავლეთის ქვეყნებშია მიღებული, თუ რა შედეგები მოსდევს, წერილის ავტორები „რჩევას“ აძლევენ ვაკრიტიკისთვის, ეს-ეს ხომ არავინ გეიკითხვით, დაიბრუნეთ ძველი ავტორები, ამისათვის საქართველოს შექმნა აუცილებელია?

ბატონო ავტორებო! საქართველო „მანის“ ბიურო ან თუ სტუდენტის სამინისტრო არაა, და თუ დემოკრატია საქართველოში (რასაც ასე დაბეჭდებით ატყუებთ), თქვენ ვინ გეიკითხებთ, შეიქმნება თუ არა საქველმოქმედო ორგანიზაცია? თუ ვცდებით და მთავრობის გარდა თქვენგანაც უნდა მიგველო ნებართვა? აი, პატრიოტიზმის ნამდვილი ნიმუში!

სავალაოდ, მსოფლიოში უმცირესი უმცირესი გავერცხლებული ამარჩენი სიყალბის სათავე სწორედ საქართველოში მდებარეობს — კარგი სიტყვებია, გაზეთის მესვეურთა ლემარანგებით რომ არ უბრუნდებოდეთ!

ანდა ავიღოთ „გაზეთის იმავე ნომრიდან ინფორმაცია იმის შესახებ, რომ იტალიაში შექმნილია საზოგადოება „წმინდა გიორგის ფაი“-იტალიელი და ქართველი ერთობა“, რომლის საპატიო პრეზიდენტი სამეფო გვიან შინამთავალია, პრინცი რამონდი ორსინი და არაგონას მუხლი — ქალბატონი ქეთევან ბაგრატიანი, ხოლო პრეზიდენტად აურჩევიათ იტალიაში მცხოვრები ქართველი, ბატონი აი-მინე მესხი. მისი ვაჟი საქართველოში ჩამოსულა საქართველებთან. ამჟამად ეუფლება ქართულს, მომავალში ბიოლოგიას შეისწავლის და ა. ხალიძას ვაკრიტიკებთ ამ ინფორმაციაში მათ შესახებ, მაგრამ ერთ-ერთი მთავარი ინფორმაცია „გამორჩენილი“ — ამ საზოგადოების საპატიო პრეზიდენტის, პრინცი რამონდი ორსინი და არაგონას მუხლის, ქალბატონი ქეთევან ბაგრატიონის, ალალი მამა — ბატონი ალექსანდრე ერთ თვეზე მეტია თბილისშია ჩამოსული. ჩამოსვლის მეორე თუ მესამე დღეს შეხვედრა მოუწყო საქართველოში ბატონი ალექსანდრე ბაგრატიონს, სადაც იგი გაეცნო მის ახლობლებსა და ნათესავებს და გაითხრა, რომ რამდენიმე თვით ჩამოვიდა, არის ბიზნესები, განათლებით იურისტი, დაამთავრა უმაღლესი საფარისგან და დღევანდელა, რომ ყოველ ღონის იხმარს, რათა გამოადგეს თავის სამშობლოს — საქართველოს. დაწვევებით ამის შესახებ იყო ინფორმაცია ტელევიზიით, გაზეთებში, მაგრამ „თავისუფალი საქართველოს“ გამორჩენია ეს ამბავი, რადგან წერილი „საკუთარი ინფორმაციის“ რანგით მიღეს და ზ. ასკანელისა და ა. ხალიძისა წერილის გვერდით არის დაბეჭდილი და განაზრც კენჭობდა საქართველოს ლანდინა, თუ მის გვერდზე საქართველოს საქმიანობაზე მიუძღვნებოდათ ცხოვრების მიწვევებზე მთხოვრებენ? მით უმეტეს, რომ იმავე დღეს, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ბატონმა ზვიად გამსახურდიამ და რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ბატონმა აკაკი ასათიანმა მიიღეს რუსეთის სათავადაზნაურო საქართველოს წინამძღოლი ანდრეი კორილი შე ვოლიცინი და ესაუბრნენ მას.

გვაბატონ „თავისუფალი საქართველოს“ მკითხველებმა, რომ მათი ურთიერთობა შეეხარეთ, რბილად რომ ვთქვათ, არც ისე კორექტულ წერილზე ზ. ასკანელისა და ა. ხალიძისა, რომელიც მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის კლასიკური ბრძოლის თეორიის პოზიციებიდან არის დაწერილი. გაზეთის დანიშნულებაა, თბილისური ინფორმაცია მთავრობის მკითხველებს და არა პასკილები აქვეყნონ დაუმსახურებლად.

როდ დაგვარჩენია, უნებურად გვეხსენდება სიტყვები სახარებიდან: „...მთუტვევ ამბო, რავე თუ არა იცაინ, რასა იქმან...“ (ლუკა. თავი 23, მუხლი 34).

ნუგზარ ავალიშვილი, საქართველოს ისტორიულ ხელოვნებათა წარმომადგენლებისა და მათ თანამდგომთა საქართველოს წევრი.

S.V.91.

დაიხუროს თუ არა?

ებას და სხვა), არამედ როდესაც არ ასრულებს. რეალურად, სახელმწიფოს სამსახურში ჩამდგარი ვაკარი აღარ არის ვაკარი, ამ სიტყვის მართებული გაგებით, არამედ გაუქმდებულ სისტემის მორგებულ, გაურკვეველი პროფესიის აღმანი, რომლის პირადი შემოსავალი უქუროპორციულ დამოკიდებულებამა მის პროფესიონალიზმთან. მარტად რომ ვთქვათ, რაც უფრო ცუდი ვაკარია, მით უფრო მდიდარია.

ამ ტოტალური სასაქონლო დეფიციტის ფონზე სულ ახალი მოვლენაა კერძო კომერციული მაღაზიები. იქ საქონლის ისეთი ფართო ასორტიმენტია წარმოდგენილი, რაზეც აღერ შეგველო მხოლოდ გვეოცნება და ზოგჯერ თავისი საქონლის ხარისხით მსოფლიოს მრავალ მაღაზიასაც კი შეიძლება არ

ჩამოუვარდეს. რასაკვირველია, ბევრს აღნიანებს მაღალი ფასები, რომლებიც ამ მაღაზიებშია. მართლაც ძალიან გულმარწყვითა, როდესაც შედინარ მაღაზიაში, ხვდები უამრავ საქონლს, ლამაზ ნივთს და ყიდვის უნარი არა გაქვს მისი ფასის გამო. მეც ხშირად ვყოფილვარ ამგვარ მდგომარეობაში და გულდაწყვეტილი გამოვსულვარ მაღაზიდან, მაგრამ არასოდეს გამჩენია სურვილი მათი დახურვისა, ან სხვა რამე ამდგომარეობისა. ფასები აღნიშნულ მაღაზიებში წარმოიქმნება გამოდინარე იმ სავალტრო სიტუაციიდან, რომელიც დღეს საქართველოშია. ერთი ამერიკული დოლარი დღეს სსრკ-ს საქონლო ბირჟებზე ღირს დაახლოებით 37-40 მან. ბუნებრივია, ჩვენშიც იგივე მდგომარეობაა, რადგან ჯერჯერობით საერთო ფულადი სისტემა გაქვს. თუ ვავითვალისწინებთ, რომ საქონელს დასავლეთშიც საქონლი მაღალი ფასი აქვს, გამოვა, რომ, მაგალითად, ერთი წყვილი ფეხსაცმელი, რომლის ფასიც დასავლეთში 40-50 დოლარის ფარგლებში მერყობს, ჩვენიან უნდა ღირდეს 1600 მან, რაც დაახლოებით ედრება კომერციული მაღაზიაში დადგენილ ფასებს, იგივე ენება სხვა დანარჩენი სახის პროდუქციასაც. აქვე ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ჩვენი საზოგადოების ერთ ნაწილში ქარბი რაოდენობით არის დაგროვილი ფული. ეს, რასაკვირველია, ხელს უწყობს მაღალი ფასების წარმოქმნას და მაღალი ბატონის დაუინტერესებლობას ფასების რეგულირებაში, რადგან საქონელი მაინც იყიდება. ასე რომ, მაღალი ფასები არის ბრალი არა თვით კომერციული მაღაზიებისა, არამედ ზოგადად შექმნილი სიტუაციისა.

რასაკვირველია, კომერციული მაღაზიების ფუნქციონირებას თანახლავს მკვეთრად უარყოფითი მო-

ვლენებიც, რომელთა ერთ-ერთი გამოვლინებაა სახელმწიფო სასაქონლო ბაზებიდან გამოტანილი საქონლის ამ მაღაზიებში რეალიზაცია, რასაც აუცილებლად უნდა მიხედვას სახელმწიფოს მხრიდან, რადგან ბაზიდან გამოტანილი საქონელი უნდა გაიყიდოს მხოლოდ სახელმწიფო მაღაზიაში. აღნიშნული მოვლენა ხელს უწყობს კორუფციას და სხვა მსგავს მანერ მოვლენებს.

თუმცა, უნდა ითქვას, რომ მის შემდეგ, რაც მოხდება სავაჭრო ობიექტების სრული პრივატიზაცია, აღნიშნული მოვლენაც ბუნებრივად აღმოფხვრება.

კომერციული მაღაზიებში სხვა დარღვევებიც გვხვდება. საქირთა ყველა ამ სიმანერსთან ბრძოლა, მათი აღმოფხვრა. ამის ერთადერთი საშუალებაა მოქნილი საგადასახლო პერიტუკის დაუნერგვა (ერთ-ერთი ეფექტური გზა უნდა იყოს საგადასახლო ინსპექციის სრულად ამოქმედება, რაც მთელ ე. წ. კაპიტალისტურ სამყაროში არსებობს, ნაცვლად ანაქონული „ობეხევის“.

სადაც არ უნდა... ნუთუ ზ. ასკანელსა და ა. ხალიძას გონიათ, რომ ერთგულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა მხოლოდ 1989 წელს დაიწყო მათი წინამძღოლობით? ჩვენი დღევანდელი წარმოგვიდგინეს ამ გაუბატონებმა!

თუ თქვენზე ხერხით ვისარგებლებით, მაშინ თქვენ სადა ბრძანდებოდით, როდესაც 1832 წლის თავდაპირველი შეთქმულება მოეწყო და მთელი რუსეთის ტერიტორიაზე გადასახლეს მისი მონაწილეები? 40-იანი წლების რეპრესიებამდე?

სად იყავით 1956 წლის 9 მარტს, როდესაც ქართველი სტუდენტები, პრივილეგიატები იმპერიის ისტორიაში, გამოვიდნენ მთავრობის წინააღმდეგ (თუმცა მიზეზი, ზედაპირულად თუ მიუღწევად, სტალინის ვაკრიტიკა იყო, მაგრამ ამ გამოსვლების საფუძველი ქართველი ერის უსამართლო ჩაგვრა და ლანდინა იყო კრემლის მაშინდელი მმართველია შირიდან). ანდა რა ისეთი გაწყობილი სუფრა დაგვასვენებდა ზ. ასკანელისა და ა. ხალიძის მართვათა, რომ მხოლოდ ისლა დაგვარჩენია, ფეხი ფეხზე შემივიდით და პრივილეგიებზე ტკბობო ოცნებებში ჩავიხრეთ?

